# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 48

„21“ ნოემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. №30ბ-ში მდებარე №10 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.020.019.01.01.010) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში დავარის ქ. №37-ში მდებარე №4 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.036.164.01.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა №30ბ-ში მდებარე №10 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.020.019.01.01.010) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქუჩა №37-ში მდებარე №4 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.036.164.01.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 ნოემბრის №25.1937.2190 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. №30ბ-ში მდებარე, 58.2 კვ.მ. ფართობის №10 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.020.019.01.01.010) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავარის ქ. №37-ში მდებარე, 58.1 კვ.მ. ფართობის №4 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.036.164.01.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ნანული საგანელიძისთვის (პ/ნ. 01008036404), ლია ჭეიშვილისთვის (პ/ნ. 01008006814) და ნიკოლოზ ჭეიშვილისთვის (პ/ნ. 01008016689) თანასაკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — ზურაბ აბაშიძე